სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/08

ქ. თბილისი

28 თებერვალი 2020

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის, აკადემიური დეპარტამენტების, დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1-ელი ოქტომბრის №76 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) ფინანსური ანალიზისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-04/55 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 28 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მათ შორის შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში, ადამიანური რესურსების რაციონალიზაციის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ვალდებულებების გადანაწილების, ამასთან უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და უნივერსიტეტის განვითარებისათვის ფინანსური რესურსების მობილიზაციის მიზნით, სტრუქტურული რეორგანიზაციის განსახორციელებლად, განისაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები:

1.1. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შესწავლის და მათთან შესაბამისი კომუნიკაციის ფორმატში ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის, საშტატო ერთეულის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების, პერსონალის ფუნქცია-

მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- **სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი** ზაზა ბუაჩიძე, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი;

წევრები:

- მიხეილ ჯანიკაშვილი, აკადემიური საბჭოს წევრი; ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- მარინა მაისურაძე, აკადემიური საბჭოს წევრი; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი;
- დავით ჯაფარიძე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი;
- ირაკლი გაბისონია, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი;
- გიორგი სალუქვაძე, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი;
- ირმა ინაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მაია კუხალეიშვილი, ბიოტექნოლოგიების ცენტრის უფროსი;
- ალექსანდრე შერაზადიშვილი, შიგა აუდიტის სამსახურის უფროსი;
- თამაზ ურთმელიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი;
- რატი გურგენიძე, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

1.2. ამ დადგენილების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე სამუშო ჯგუფმა პროექტის წარმოდგენა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2020 წლის 28 მარტისა;

1.3. სამუშაო ჯგუფმა სტრუქტურული ერთეულების დებულებების, პროექტების შემუშავება უზრუნველყოს უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად;

1.4. ყველა სტრუქტურული ერთეული/ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია სამუშაო ჯგუფს შეუფერხებლად გადასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, ამასთან უზრუნველყოს შესაბამისი კომუნიკაციის ფორმატში წინადადებების/რეკომენდაციების მიწოდება ან/და შესრულება;

1.5. ამ დადგენილების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წინაშე;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**